

ქვეყნის
განვითარება



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

REAP

ჩვენი ეკონომიკის
განვითარება



CBI-ის ბაზრის საინფორმაციო პორტალი

CBI (განვითარებადი ქვეყნებიდან ევროპაში იმპორტის ხელშეწყობის ცენტრი) წარმოადგენს ნიდერლანდების სამეწარმეო სააგენტოს ნაწილს. CBI-ის ბაზრის საინფორმაციო პორტალზე განთავსებული მასალა დიდი გულისყურით შემუშავდა, თუმცა CBI და პუბლიკაციების ავტორები არ არიან პასუხისმგებელი პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაციის გამოყენების შედეგებზე. პორტალზე განთავსებულ ინფორმაციას არა აქვს იურიდიული ძალა. ამდენად, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დავეყრდნეთ შესაბამის წყარო-დოკუმენტებს. მოწოდებული ინფორმაცია მკითხველს არ ათავისუფლებს შესაბამისი საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან/და სამართლებრივი მოთხოვნების და მათში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინების ვალდებულებისგან. ბაზრის საინფორმაციო პორტალის მიზანია CBI-ის სამომხმეო ჯგუფის - განვითარებად ქვეყნებში ექსპორტირებისა და ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების (BSO) - დახმარება. ცენტრი ინფორმაციას აქვეყნებს არავალდებულები მიზნით.

USAID/REAP პროექტმა, CBI-სთან შეთანხმებით თარგმნა ექსპორტის გამკვლევეების წინამდებარე სერია ქართულ ენაზე და მოახდინა მათი ადაპტირება საქართველოს რეალობასთან.

ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.

სერიაში შედის 9 გზამკვლევი, რომლებიც მიმოიხილავს ქვემოთაღნიშნულ პროდუქციას ევროპის ბაზარზე გაყიდვის შესაძლებლობის კუთხით:

- ▶ **კენკრა**
- ▶ **ჩაი**
- ▶ **სოცხალი მწვანილი**
- ▶ **გაყინული ხილი და ბოსტნული**
- ▶ **ხმელი ბალახოვანი სანაღებლები**
- ▶ **სტეკია**
- ▶ **დაქუცმაცებული და დაფუჭილი სანაღებლები და გამხმარი მწვანილი**
- ▶ **თაფლი**
- ▶ **თხილი და ჩირი**

შესავალი

სურსათის უვნებლობის და გარემოს დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი, სერტიფიცირებული ჩაის წილი მსოფლიო ბაზარზე სწრაფად იზრდება. მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის (IISD) 2012 წლის ანგარიშის მიხედვით გლობალურად წარმოებული ჩაის 12 % იყო სერტიფიცირებული. 2015 წელს ექსპერტების შეფასებით, აღნიშნული წილი შეადგენდა 17 %-ს, მომდევნო ზრდის პერსპექტივით. ჩაისთან მიმართებით, Fair Trade (სამართლიანი ვაჭრობის) და ორგანული წარმოების სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატები უმეტესად აქტუალურია ნიშურ და საექსპორტო ბაზრებზე. სულ მალე, ჩაის სერტიფიცირება აუცილებელი პირობა გახდება ევროპის ბაზარზე შესაღწევად.

პროდუქტის აღწერა

ტერმინი „ჩაი“ უკავშირდება ცხელ სასმელს, რომელიც მიიღება ჩაის (კამელია სინენსისის) გამომშრალი ფოთლების დაყენებით. არსებობს სულ მცირე ექვსი სხვადასხვა სახეობის ჩაი: მწვანე, თეთრი, ყვითელი, ოლონგის (მუქი ფერის, ჩინური), შავი და ყველაზე მუქი, სრული ფერმენტაციის გზით მიღებული ჩაი (ჩინელებისთვის შავი ჩაი). ბაზარზე ყველაზე მეტად გვხვდება შავი, მწვანე, ოლონგის და თეთრი ჩაი.

სერტიფიცირებული ჩაი

ტერმინი „სერტიფიცირებული ჩაი“ უკავშირდება ჩაის სახეობებს, რომლებიც დამოუკიდებლად არის სერტიფიცირებული აკრედიტირებული მესამე მხარის მიერ და ითვალისწინებს სოციალური, გარემოს დაცვითი და ეკონომიკური სტანდარტების სხვადასხვა კომბინაციებს. ასეთ ჩაისთან მიმართებით ასევე გამოიყენება კრებითი ტერმინი „მდგრადი ჩაი“. ჩაის ყველაზე მნიშვნელოვანი სტანდარტები დადგენილია ისეთი ორგანიზაციების, გაერთიანებების და მიმართულებების მიერ, როგორცაა: Rainforest Alliance, UTZ Certified, ორგანული წარმოება, სამართლიანი ვაჭრობა (Fairtrade) და ეთიკური პარტნიორობა ჩაის კულტურისთვის (ETP).



ჩაის სხვადასხვა პრომატი

ჩაის სახეობას განსაზღვრავს დაჟანგვის ფაქტორი. ეს არის ქიმიური პროცესი, რომელიც იწვევს ჩაის ფოთლების გამუქებას და დასრულებულ ჩაიში არომატის და სურნელის კომპონენტების წარმოქმნას. დაჟანგვის პროცესში, რომელსაც ხშირად ფერმენტაციის პროცესს უწოდებენ, ჩაის არომატი და სურნელი უფრო ღრმა და სრული ხდება. ზოგადად შავი ჩაი ინარჩუნებს სრული დაჟანგვის, ხოლო ოლონგის ჩაი ნაწილობრივი დაჟანგვის გზით, მწვანე ჩაის შემთხვევაში ხდება დაჟანგვის შეჩერება (დაჟანგვა საერთოდ არ ხდება, ან ხდება მხოლოდ მინიმალური დაჟანგვა), თეთრი ჩაის წარმოებისას დაჟანგვა არ გამოიყენება.

შავი ჩაი

აღწერა

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შავი ჩაი ყველაზე გავრცელებული სახეობაა. შავ ჩაის თითქმის ყოველთვის სრულად აქვს გავლილი დაჟანგვის პროცესი.

არომატი

შავი ჩაი გამოირჩევა სასიამოვნო არომატით, რომელიც კარგად მიდის დასავლურ საკვებთან, კერძოდ, ტკბილეულთან და ნაღების/კრემის გამოყენებით დამზადებულ საკვებთან.

მწვანე ჩაი

აღწერა

მწვანე ჩაის წარმოებისას ხდება დაჟანგვის პროცესის სწრაფად შეჩერება (აღინიშნება მინიმალური დაჟანგვა). იაპონური მწვანე ჩაი გატარებულია ორთქლში. მწვანე ჩაის ჩინური წესით წარმოების შემთხვევაში კი გამოიყენება მშრალი, ცხელი ჰაერით შრობის ტექნოლოგია.

არომატი

იაპონური სტილის მწვანე ჩაი მზადდება ნარჩევი ფოთლებისგან, ნაყენში იგრძნობა ზღვისა და ბალახის არომატი, რბილი სიცხარე და მსუბუქი მოტკბო ციტრუსოვანი გემო.

ოლონგის

(შაჟი, მონიტალო-მურა ფერის ჩაი)

აღწერა

ოლონგის ჩაი იხვევა ხელით ან დანადგარით. ჩაის ფოთოლს კრეფენ ჩაის ბუჩქებიდან სრული მწიფობის დროს და ორჯერ ამშრობენ მაღალ ტემპერატურაზე, სანამ ფოთლები წაბლისფერს ან მონიტალო-მურა ელფერს არ მიიღებს.

არომატი

დამუშავების ტექნოლოგიის მიხედვით ოლონგის ჩაის შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა არომატი (თაფლის, ვანილის, ორქიდის, ლიჩის, ან სხვა ხილის და ყვავილის).

თეთრი ჩაი

აღწერა

ჩაის ბუჩქები, რომელთა ფოთლებსაც იყენებენ თეთრი ჩაის სანარმოებლად, ძირითადად ჩინეთში ხარობენ. ნარგავები მოთეთრო ფერისაა, და აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც. თეთრი ჩაი ღია ყვითელი ფერისაა.

არომატი

თეთრ ჩაის აქვს მსუბუქი, დელიკატური არომატი და ოდნავ მოტკბო გემო.

სავაჭრო ქსელში ძირითადად კომბინირებული ჩაის სახეობები გვხვდება, რომელშიც შერეულია სხვადასხვა ადგილწარმოშობის ჩაი, კონკრეტული არომატის მქონე სტანდარტიზებული კუპაჟის მისაღწევად. ევროპაში ჩაის ბრენდების უმრავლესობა სასურველი გემოს და ფასის მისაღწევად გამოიყენებს 20-ზე მეტი ადგილწარმოშობის ჩაის. თუმცა, სპეციალურ მალაჩიებსა და გარკვეულ სუპერმარკეტებში სულ უფრო მზარდი მოთხოვნაა ერთი წარმომავლობის, არა-შერეულ ჩაიზე.

საბაჟო პროცედურებსა და საერთაშორისო ვაჭრობაში გამოყენებული კოდები

წინამდებარე დოკუმენტის სტატისტიკური მონაცემები ეყრდნობა კომბინირებული ნომენკლატურის (CN) კოდებს. პროდუქციის

კლასიფიცირებისათვის კომბინირებული ნომენკლატურა გამოიყენებს ჰარმონიზებული სისტემის (HS) კოდებს. ჰარმონიზებული სისტემის კოდები, რომელსაც მოიცავს წინამდებარე დოკუმენტი, აღწერილია ქვემოთ. თეთრი და ოლონგის ჩაისთვის არ არსებობს ცალკე კოდები. ეს სახეობები შესულია ფერმენტირებული (ოლონგის) და არაფერმენტირებული (თეთრი) ჩაის კატეგორიებში. ასევე არ არსებობს ცალკე კოდი სერტიფიცირებული ჩაისთვის.

ჰარმონიზებული სისტემის კოდები	აღწერა
090240	დაფასოებული შავი (ფერმენტირებული) და ნაწილობრივ ფერმენტირებული ჩაი, რომელიც აღემატება 3 კგ-ს
090230	დაფასოებული შავი (ფერმენტირებული) და ნაწილობრივ ფერმენტირებული ჩაი, რომელიც არ აღემატება 3 კგ-ს
090220	დაფასოებული მწვანე ჩაი (არაფერმენტირებული), რომელიც აღემატება 3 კგ-ს
090210	დაფასოებული მწვანე ჩაი (არაფერმენტირებული), რომელიც არ აღემატება 3 კგ-ს

პროდუქტის სპეციფიკაცია

ხარისხი: სორტირება და კლასიფიკაცია

ფაქტორები, რომლებიც გემოქმედებას ახდენენ ჩაის ხარისხზე:

- ▶ გენეტიკა: ჩაის ხარისხს უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავს ჩაის ნარგავის/ბუჩქის გენეტიკური მახასიათებლები
- ▶ გარემო პირობები: სიმაღლე ზღვის დონიდან, ნიადაგი და კლიმატი (მათ შორის ტემპერატურა, ტენიანობა, მზის ნათების ხანგრძლივობა და ნალექი)
- ▶ სავლე ოპერაციები: გასხვლა, ფორმირება, ნიადაგის განაყოფიერება, დაჩრდილვა
- ▶ დაკრეფილი ფოთლების დამუშავება: ტრადიციული, ანუ ფოთლის მთლიანობის შენარჩუნებით, ფოთლის დაქუცმაცება-დაგრების ნაცვლად

ჩაის ტრადიციულ წარმოებაში დახარისხების 4 ძირითადი კატეგორია არსებობს: მთელი ფოთოლი, დამტვრეული ფოთოლი, ნარჩენი და მტვერი. ამ კატეგორიების მიხედვით ღვინდება ფოთლის ზომა და შესაბამისი დადებითი მხარეები. მთელი და დამტვრეული ფოთლები ძირითადად გამოიყენება დასაყენებელი (სპეციალური ასორტიმენტის) ჩაისთვის, ხოლო ნარჩენი და მტვერი - ჩაის პაკეტების საწარმოებლად.

როგორც წესი, ჩაის ხარისხის შეფასებას ჩაის დევესტატორები ახდენენ. ამ მიმართულებით, დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ჩაის ევროპული კომიტეტის მიერ შედგენილ, ჩაის სახელმძღვანელო პრინციპების კრებულში.

საერთაშორისო დონეზე იზრდება მოთხოვნა ჩაის ხარისხის მინიმალურ სტანდარტებთან შესაბამისობის ვალდებულების შესრულებაზე. ამ მხრივ სირთულეს წარმოადგენს საერთაშორისო მასშტაბით მისაღებ ხარისხის სტანდარტებთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა. ჩაის ფოთლის სორტირების სპეციფიკის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია Rate Tea ვებგვერდზე.

ეტიკეტირება

ჩაის პროდუქციის ეტიკეტის აუცილებელი მახასიათებლები:

- ▶ პროდუქციის სახელი
- ▶ ფიზიკური მდგომარეობა ან დამუშავების სპეციფიკა (დაფანგვით მიღებული ან დაუფანგავი)
- ▶ ინგრედიენტების, მათ შორის დანამატების ჩამონათვალი
- ▶ კვებითი ღირებულება, თუკი პროდუქციის ინგრედიენტები ცვლიან კვებით ღირებულებას (მაგ.: ცუკატები, ქოქოსის ფანტელები).
- ▶ იმ ნივთიერებების ჩამონათვალი, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ალერგიული, ან ჯანმრთელობასთან შეუთავსებელი სხვა რეაქცია
- ▶ ნეტო წონა
- ▶ ვარგისიანობის ამოწურვის თარიღი, რომელსაც წინ უნდა ერთვოდეს სიტყვა „ვარგისია.“
- ▶ მწარმოებელი კომპანიის, შემფუთველის, ან ევროპაში დაფუძნებული გამყიდველის სახელწოდება და მისამართი

- ▶ მოქმედი სერტიფიცირების სქემის აღმნიშვნელი ლოგო
- ▶ წარმოშობის ადგილი

შეფუთვა

ჩაი იყრება ლამინირებულ მუყაოს ტომრებში, ამჟამად, ძალზე იშვიათად გამოიყენება ფანერის ყუთები. როგორც წესი, 20 ჩაის ტომარა იდება პალეტზე, რომლის წონა მერყეობს 700 -დან 1,500 კგ-მდე. ტომრებზე საჭიროა მინიმუმეული იყოს საიდენტიფიკაციო ნომერი, მთლიანი და ნეტო წონა, ჩაის სახეობა (ინგრედიენტების ჩამონათვალი), საწარმოს სახელი და წარმოშობის ქვეყანა.

შეფუთვის ფართოდამიღებელი მეთოდები



რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სერტიფიცირებული ჩაი ევროპულ ბაზარზე მოსახვედრად?

სურსათის უვნებლობასთან და ხარისხთან დაკავშირებით ევროპის ბაზრის მოთხოვნები მკაცრია. აღნიშნული მოთხოვნები გათვალისწინებულია კანონმდებლობაში, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სურსათის უვნებლობა, ნარჩენების მაქსიმალური დასაშვები დონე, დამაბინძურებელი ნაერთები, სამომხმარებლო მარკირება და გამხსნელები.

როგელ საკანონმდებლო მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს ევროპული პროდუქტი?

ევროპული მომხმარებლებისთვის პროდუქციის ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. ევროპულ ბაზარზე მხოლოდ ის მიმწოდებლები დაიშვებიან, რომლებიც აკმაყოფილებენ ევროპის უმაღლეს მოთხოვნებს

პროდუქციის ხარისხის და სურსათის უვნებლობის მიმართ. აქედან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვანია შესაბამისობა ნარჩენების მაქსიმალურ დასაშვებ დონესთან და დამაბინძურებელი ნივთიერებების მიმართ მოთხოვნებთან.

რა დაგაბიბით მოთხოვნები აქვთ ხშირად მყიდველს?

ბაზარზე შესვლისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოთხოვნების გარდა, მნიშვნელოვანი პირობა გახდა „მდგრადი“ პროდუქცია, ანუ გარემოს დაცვით და სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობა. სერტიფიცირებული ჩაის ექსპორტიორებისთვის, რომლებსაც სურვილი აქვთ შევიდნენ ვროპის ბაზარზე, თითქმის „სავალდებულო“ გახდა ისეთი გაერთიანებების და ორგანიზაციების სერტიფიკატების მოპოვება, როგორცაა: Rainforest Alliance, UTZ Certified, და /ან ეთიკური პარტნიორობა ჩაის კულტურისთვის.



ევროპის ჩაის ბაზარზე არსებული პროდუქციის უმეტესობა ფლობს ამ სერტიფიკატებს. სტანდარტული ხარისხის ჩაის პაკეტების საცალო ვაჭრობის სეგმენტში აქტიურად იბრძება Rainforest Alliance-ის სტანდარტებით სერტიფიცირებული პროდუქციის წილი, ასევე იბრძება, თუმცა შედარებით ნაკლები მოცულობით, UTZ-ის სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წილი.

„ეთიკური პარტნიორობა ჩაის კულტურისთვის“ არის ინიციატივა, რომელიც მოწოდებულია გააუმჯობესოს პროდუქციის მდგრადობა, ჩაის პლანტაციებში მომუშავე მუშახელის ცხოვრების პირობები და საწარმოო გარემო. ჩაის ნებისმიერ კომპანიას, განურჩევლად წარმოების მასშტაბისა, შეუძლია შევერთდეს ამ ინიციატივას. ამ უკანასკნელს არ გააჩნია სამომხმარებლო ეტიკეტი (ლოგო) და შესაბამისად, არ აღინიშნება ჩაის შეფუთვაზე.

რეკომენდაცია:

დაადგინეთ, თუ რა მოთხოვნები აქვთ სერტიფიცირებასთან დაკავშირებით თქვენი პროდუქციის მყიდველს. იცოდეთ, რომ სერტიფიცირება არ წარმოადგენს ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის გარანტს პესტიციდების ნარჩენების, მძიმე მეთალების და/ან დამაბინძურებლების თვალსაზრისით. სერტიფიცირებულ ჩაის აუცილებლად ჩაუტარეთ ლაბორატორიული ანალიზი.

ნიშური ბაზრის მდგრადი განვითარების კონცეფცია

ნიშურ ბაზარზე ყველაზე გავრცელებულია სერტიფიცირებები, რომლებიც განსაზღვრავს ორგანული წარმოების და სამართლიანი ვაჭრობის (Fair Trade) მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ორგანული წარმოება

ორგანული ჩაის წარმოებისას ქიმიური შენამცლის და ქიმიური სასუქების ნაცვლად გამოიყენება ბუნებრივი მეთოდები (მაგ: თესლბრუნვა, მცენარის ბიოლოგიური დაცვა, მწვანე სასუქის გამოყენება, და კომპოსტირება). ორგანული ჩაი სტანდარტულთან შედარებით უფრო ჯანსაღ პროდუქტად მიიჩნევა, რადგანაც მასში ნაკლებია ნარჩენების რაოდენობა. ზოგადად, ორგანულობის დამადასტურებელი სერტიფიცირება პრიორიტეტულია უფრო მაღალი ხარისხის სეგმენტში (მაგ.: სპეციალურ მაღაზიებში). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ორგანულ მაღაზიებში სტანდარტული ხარისხის ორგანული ჩაის დიდი არჩევანია.

Fair Trade (სამართლიანი ვაჭრობის) სერტიფიცირება

სამართლიანი ვაჭრობის მარკირების ორგანიზაციის სტანდარტის (FLO Standard) შესაბამისი სერტიფიკატი ადასტურებს, რომ თქვენი ბიზნესი შეესაბამება ჯანსაღ სოციალურ პირობებს. ზოგადად, სამართლიანი ვაჭრობის სტანდარტით სერტიფიცირებული ჩაის სახეობები იყიდება ორგანული პროდუქციის და ეთიკური ინიციატივის მაღაზიათა ქსელში. ასეთი ჩაი სულ უფრო მეტად გვხვდება დიდ სავაჭრო ობიექტებში, მაგალითად ჰოლანდიაში ალბერტ ჰეიჯინში და ჯამბოში. გაერთიანებული სამეფო მსოფლიო ლიდერია სამართლიანი ვაჭრობის სტანდარტით სერტიფიცირების კუთხით. აქ, შესაბამისი სტანდარტით სერტიფიცირებული ჩაი იყიდება როგორც ნიშურ ბაზარზე, ასევე დიდ სავაჭრო ცენტრებში.

რეკომენდაცია:

გაითვალისწინეთ რომ არსებობს სამართლიანი ვაჭრობის (Fair Trade) 2 განსხვავებული სტანდარტი. ერთი მიესადაგება ჩაის მწარმოებელ მცირე ზომის ორგანიზაციებს, ხოლო მეორე - პლანტაციებში მოყვანილი ჩაის წარმოებას.

მოვ შემთხვევაში შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს სხვადასხვა სტანდარტებით სერტიფიცირება, ანუ ორი, ან სამი სერტიფიკატის მოპოვება, რაც საშუალებას მოგცემთ მოემსახუროთ უფრო დიდ ბაზარს. თუმცა, უნდა გაითვალისწინოთ, რომ კომბინირებული სერტიფიცირება დაკავშირებულია ხარჯების მრდასთან, და ამ პრობლემის გადაჭრის გზა არის კომბინირებული აუდიტი. UTZ-მა და სამართლიანმა ვაჭრობამ ამ კუთხით უკვე დაიწყეს თანამშრომლობა, რაც ორ სხვადასხვა სერტიფიცირებაზე კომბინირებული აუდიტის ჩატარებას ითვალისწინებს.

ევროკავშირში მომუშავე ჩაის ინდივიდუალური შემფუთავი კომპანიების მდგრადი განვითარების ინიციატივები

ჩაის მსხვილი ევროპული კომპანიები (მწარმოებლები და შემფუთავები) და მათი მდგრადი განვითარების სტრატეგია მოიცავს შემდეგ ინიციატივებს:

- ▶ Unilever – Sustainable Living (მდგრადი ცხოვრების სტილი), Rainforest Alliance-ის სერტიფიკატით.
- ▶ Jacobs Douwe Egberts - მდგრადი განვითარება - მუშაობა მოსავლიდან ჭიქამდე - UTZ Certified სერტიფიკატით.
- ▶ Tata Global Beverages Sustainable Sourcing, Rainforest Alliance-ის სერტიფიკატით და ETP ინიციატივის წევრობით.
- ▶ Twinings - კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა, ETP ინიციატივის წევრობით. Rainforest Alliance-ის და სამართლიანი ვაჭრობის სერტიფიკატებით.

როგორია ევროპის ბაზრის მოთხოვნა სერტიფიცირებულ ჩაიზე?

ნარმოება


ქვემოთ ნაჩვენებ მონაცემებს საფუძვლად უდევს ჰარმონიზებული სისტემის შერჩეული კოდები (იხ. პროდუქციის აღწერილობა). სერტიფიცირებული ჩაისთვის არ არსებობს სპეციალური კოდი.

სხვა მითითების არარსებობის შემთხვევაში, სერტიფიცირებული ჩაის მონაცემებს საფუძვლად უდევს მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის პუბლიკაცია „მდგრადი განვითარების ინიციატივების მიმოხილვა 2014“, და საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის და ორგანული სოფლის მეურნეობის კვლევითი ინსტიტუტის ერთობლივი პუბლიკაცია „მდგრადი განვითარების ბაზრების მდგომარეობა“.

აფრიკა - სერტიფიცირებული ჩაის ნარმოების ლიდერი

2012 წელს გლობალურად წარმოებული სერტიფიცირებული ჩაის ძირითად ნაწილს შეადგენდა აფრიკის ტერიტორიაზე წარმოებული ჩაი. კერძოდ, კენიაზე მოდიოდა მსოფლიო მასშტაბით წარმოებული სერტიფიცირებული ჩაის 41%. კენიაში წარმოებული ჩაის უმეტესობას გააჩნდა Rainforest Alliance, Fairtrade და UTZ certification სერტიფიკატები. 2012 წელს სერტიფიცირებული ჩაის ნარმოებაში ასევე დიდი წვლილი შეიტანეს ინდოეთმა - გლობალურად წარმოებული სერტიფიცირებული ჩაის 18%, ინდონეზიამ - 8%, მალაგის რესპუბლიკამ - 8%. ევროპაში ჩაის ძირითადი მიმწოდებლების სიაში ასევე ლიდერობენ კენია და ინდოეთი. განსხვავებული მონაცემით ხასიათდება ჩინეთი, რომელიც ჩაის უდიდესი მწარმოებელია, მაგრამ ჩინური ჩაი მსოფლიო მასშტაბით წარმოებული სერტიფიცირებული ჩაის მხოლოდ 6 %ს შეადგენს, რომელშიც თავის მხრივ, უდიდესი წილი ორგანული ნარმოების ჩაიზე მოდის.

ღიაბრაბა 1. 2012 წელს სერტიფიცირებული ჩაის ნარმოება სერტიფიცირების ტიპის და რეგიონის მიხედვით



წყარო: IISD, 2014

რეკომენდაცია:


გათვალისწინეთ, რომ სერტიფიცირება, მათ შორის ორგანულიც, არ წარმოადგენს წარჩენების მაქსიმალურ დასაშვებ დონესთან შესაბამისობის გარანტიას. სერტიფიცირებულ ჩაის აუცილებლად ჩაუტარეთ ლაბორატორიული კვლევა.

სოფლის მეურნეობის დარგში აღიარებული კარგი პრაქტიკის (GAPs) კრიტერიუმები ხშირად გათვალისწინებულია UTZ Certified და Rainforest Alliance გაერთიანებების სტანდარტებში. თუ თქვენ არ ხართ ჩართული მასშტაბურ პროგრამებში, სურსათის უვნებლობის გარემოს დაცვით და სოციალურ-ეკონომიკური სტანდარტებით სერტიფიცირება შესაძლოა კარგი წინაპირობა აღმოჩნდეს კარგი პრაქტიკის დანერგვაში მხარდაჭერის მოსაპოვებლად. კარგი პრაქტიკის დანერგვა გულისხმობს მცენარეთა დაცვის საშუალებების კონტროლს, ნაკლები პესტიციდების გამოყენებას და შესაბამისად, MRL კანონმდებლობასთან შესაბამისობის ხელშეწყობას.

სერტიფიცირებული ჩაის მნიშვნელოვანი ზრდა


2012 წელს გლობალურად წარმოებული ჩაის თითქმის 12 % სერტიფიცირებული იყო ისეთი გაერთიანებების, ინიციატივების და მიმართულებების სტანდარტებით, ან კომბინირებული სტანდარტებით, როგორცაა: Rainforest Alliance, UTZ Certified, სამართლიანი ვაჭრობა, ორგანული წარმოება. (წყარო: IISD, 2014). IISD-ს პროგნოზის მიხედვით 2020 წლისთვის გლობალურად ექსპორტირებული ჩაის 80 %-ზე მეტი შესაბამისობაში იქნება სტანდარტებთან. აღნიშნული განპირობებულია მსხვილი საერთაშორისო კომპანიების, როგორცაა ლიპტონი და ტეტლი, მიერ მდგრადი განვითარების ვალდებულების განხორციელებით. ამასთან ერთად, გარკვეულმა ინიციატივებმა, როგორცაა, მაგალითად კოალიცია „ჩაი 2030“, დაარწმუნეს ჩაის ინდუსტრიის წარმომადგენლები, ისეთი პრობლემების მოგვარების აუცილებლობაში, რომლებიც უკავშირდება კლიმატის ცვლილებას, წყლის გამოყენებას, მიწას, ენერგორესურსებს, სამუშაო პირობებს და სიღარიბეს.

დიაგრამა 2. სერტიფიცირებული ჩაის გლობალური წარმოება 2009-2012 წლებში (მომცემულია ტონაჰში)



წყარო: FiBL & IFOAM, 2016

დიაგრამა 3. ჩაის წარმოების განვითარება 2008-2014 წლებში ნებაყოფლობითი მდგრადი სტანდარტების (VSS) გამოყენებით (ათასი ჰექტარი)



წყარო: IISD, 2014

სერტიფიცირებული ჩაის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანასკნელი წლების მანძილზე. ამჟამად მთავარ სტანდარტს Rainforest Alliance წარმოადგენს. ამ სტანდარტით 2015 წელს 900 ათასი ტონა ჩაი იყო სერტიფიცირებული. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული სტანდარტით სერტიფიცირებული ჩაის ოდენობამ 2016 წელს მიაღწიოს დაახლოებით 930 ათას ტონას, რაც მსოფლიოს ჩაის წარმოების 17.5% შეადგენს. ასევე იზრდება UTZ Certified -ის სტანდარტით სერტიფიცირებული ჩაის წარმოება. 2015 წლის ანგარიშის მიხედვით ამ სტანდარტით სერტიფიცირებული ჩაის წარმოება 2011-2014 წლებში დაახლოებით 49 ათასი ტონიდან 71 ათას ტონამდე გაიზარდა. რაც შეეხება Fair Trade - სამართლიანი ვაჭრობის სტანდარტს, 2014 წელს ამ სტანდარტით სერტიფიცირებული ჩაის მოცულობა 196 ათას ტონამდე გაიზარდა (სამართლიანი ვაჭრობა 2015).

უკანასკნელი წლების მანძილზე, სერტიფიცირებული ჩაის მზარდი წარმოების შესაბამისად გაიზარდა ნებაყოფლობითი მდგრადი სტანდარტების (VSS) შესაბამისი ჩაის ნარგავების ფართობი. 2008-2014 წლებში Rainforest Alliance -ის სტანდარტების შესაბამისად წარმოებული ჩაის ნარგავების ფართობი სხვა სერტიფიცირების სქემების ქვეშ არსებულ ფართობებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. Rainforest Alliance -ის სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის სწრაფი ზრდა გამოწვეულია საერთაშორისო ტრანსნაციონალური კომპანიების ვალდებულებებით, რომლებიც უკავშირდება მდგრადი განვითარების მოთხოვნებს.

ინდონეზია ასევე იყვნენ UTZ Certified სტანდარტის შესაბამისი ჩაის ძირითადი მწარმოებლები. ინდონეზია 2012-2014 წლებში გააორმაგა ჩაის წარმოების მოცულობა, და შესაბამისად, 2014 წელს UTZ Certified სტანდარტის შესაბამისი ჩაის მწარმოებელი მეორე უდიდესი ქვეყანა გახდა. 2014 წლიდან ჩინეთიც აწარმოებდა მცირე რაოდენობის UTZ Certified სტანდარტის ჩაის, ხოლო 2015 წელს მომწოდებელთა ჩამონათვალს იაპონიაც დაემატა. (UTZ Certified, 2015)

ჩინეთი არის სერტიფიცირებული ორგანული ჩაის ძირითადი მიმწოდებელი (IISD, 2014). 2013-2014 წლებში კენიამ, ინდონეზია და უგანდამ აწარმოეს სამართლიანი ვაჭრობის სტანდარტით სერტიფიცირებული ჩაის უდიდესი მოცულობა (Fairtrade, 2015). ახალი ადგილების ჩამონათვალში, სადაც ხდება ორმაგი სტანდარტით (ორგანული წარმოების და სამართლიანი ვაჭრობის) სერტიფიცირებული ჩაის წარმოება, ჩნდება უგანდა და რუანდა.

რეკომენდაცია:

სერტიფიცირება ყველაზე გავრცელებული სტანდარტებით, როგორცაა Rainforest Alliance და/ან UTZ Certified, მარკეტინგული საშუალება გახდა. ევროპის ძირითად ბაზრებზე შესასვლელად აუცილებლად უნდა ფლობდეთ სერტიფიკატს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი მიზანი დიდი მოცულობის პროდუქციის მიწოდებაა.

უმალესი ხარისხის ჩაის სეგმენტში გაითვალისწინეთ ორგანული სერტიფიცირებული ჩაი, რამდენადაც ევროპაში სწრაფად იზრდება ორგანული პროდუქციის ბაზარი. ორგანული ბაზრის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ BioFach და გაითვალისწინეთ ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნები ორგანული პროდუქციის მიმართ.

რეკომენდაცია:

ერთი ადგილწარმოების ჩაის ექსპორტირებისას ეძიეთ პირდაპირი ვაჭრობის შესაძლებლობები, რათა გვერდი აუაროთ აუქციონებს. საცალო გაყიდვებით შესაძლოა 1 კგ-ზე 10 დან 15 ცენტამდე გამრდილი ფასი მიიღოთ.

მემოთაღნიშნული ასევე მიესადაგება როგორც მაღალი, ისე დაბალი ლირებულების ჩაის და / ან განსაკუთრებული მოთხოვნების მქონე მყიდველებს.

სერტიფიცირებული ჩაი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით და წარმოშობის ახალი ადგილები

2012 წელს Rainforest Alliance-ის სტანდარტით სერტიფიცირებულმა ჩაიმ კენიაში, ინდონეზიაში, მალაეში და არგენტინაში წარმოებული საერთო მოცულობის ნახევარზე მეტი შეადგინა. 2012 წელს კენია, მალაე და

სერტიფიცირებული ჩაის მოხმარება ევროპაში


ჩაის მოხმარების მონაცემების გამოთვლისას, ქვეყანაში წარმოებული ჩაის რაოდენობას (იმ შემთხვევაში თუკი ეს ქვეყანა არის ჩაის მწარმოებელი) ემატება იმპორტირებული ჩაის რაოდენობა და აკლდება ექსპორტის რაოდენობა. არასაკმარისი მონაცემების გამო მოხმარების მონაცემებში ვერ ხდება სერტიფიცირებული ჩაის რაოდენობის განსაზღვრა.

სერტიფიცირებული ჩაის გაყიდვები

2009-2012 წლებში და მომდევნო პერიოდშიც, ახალი საპარტნიორო ინიციატივების და კორპორატიული ვალდებულებების გამო, სწრაფი ტემპით იზრდებოდა სერტიფიცირებული ჩაის გაყიდვები (წლიური 48

ზრდის მიუხედავად, სერტიფიცირებული ჩაის გაყიდვები რამდენიმე მიზეზის გამო კვალდაკვალ ვერ მიჰყვა სერტიფიცირებული ჩაის წარმოებას: პირველი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ სერტიფიცირებული ჩაის ძირითადი რაოდენობა მიწოდება ისეთ ბაზრებს, სადაც მოთხოვნა მდგრადი სტანდარტებით წარმოებულ ჩაიზე ნაკლებია (მაგალითად აღმოსავლეთ ევროპა, აზია და ახლო აღმოსავლეთი). მეორე მიზეზია ბუნდოვანი სტატისტიკა, რაც მრავალრიცხოვან სერტიფიცირებებს უკავშირდება, და შესაბამისად, სერტიფიცირების მქონე პროდუქციის ფაქტიური მოცულობა შესაძლოა უფრო დაბალი იყოს. მესამე მიზეზია ის, რომ ჩაის ხარისხი და სახეობა ყოველთვის არ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს (UTZ, 2015) და ბოლოს, სერტიფიცირებული ჩაის მიწოდების ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უკანასკნელ პერიოდში მომრავლებულმა საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამებმა.

ღიაგრამა 4. სერტიფიცირებული ჩაის გლობალური გაყიდვები 2009-2012 (მონაცემები ითვალისწინებს მრავალჯერად სერტიფიცირებას) (მოსაშუალო ტონაჟში)



წყარო: IISD, 2014

რეკომენდაცია:

უკანასკნელ პერიოდში ფასნამატი აღარ არის გარანტირებული, ამ მხრივ გამონაკლისია ორგანული წარმოების და სამართლიანი ვაჭრობის სტანდარტებით სერტიფიცირებული ჩაი. სერტიფიცირებული ჩაის ფასი დგინდება ბაზრის მხარეების შეთანხმებით. სავარაუდო ფასნამატის ოდენობა ასევე დამოკიდებული იქნება თქვენს რეგულაციებზე. ნდობის მოსაპოვებლად მეტი მუშაობა გამართებთ თქვენ პარტნიორებთან, რომლებიც ჩართული არიან პროდუქციის მიწოდების ჯაჭვში.

განავითარეთ გრძელვადიანი ბიზნეს-ურთიერთობები მოწოდების ჯაჭვის თითოეულ რგოლთან, როგორც ნედლეულის მომწოდებლებთან, ისე თქვენი პროდუქციის მყიდველებთან. იყავით სანდო პარტნიორი და აწარმოეთ პირდაპირი კომუნიკაცია. ჩაის პლანტაციების რაოდენობა შემლუღულია, განსაკუთრებით ეს ეხება კონკრეტული სახის (ან სახეობათა კომბინაციის) ჩაის, მაგალითად ცოტაა ორგანული წარმოების და სამართლიანი ვაჭრობის კომბინირებული სტანდარტების პლანტაციები, რაც მეტად არასაიმედოს ხდის მიწოდებას, რომელზეც თავის მხრივ შესაძლოა იმოქმედოს ბევრმა ფაქტორმა, მაგალითად, არასახარბიელო ამინდმა.

ჩაის ინდუსტრია და სერტიფიცირება

ევროპაში ჩაის სხვადასხვა ბრენდის პოპულარობა იცვლება საცალო ვაჭრობის აქტორების და მომხმარებლების განსხვავებული პრიორიტეტების მიხედვით. ევროპის ბაზრის ძირითადი მოთამაშეები, როგორცაა Unilever (რომლის ბრენდებში შედის ლიპტონი), Associated British Foods (Twining's), Tata Global Beverages (Tetley) ფლობენ Rainforest Alliance სერტიფიკატებს. ამასთან ერთად, ტვინინგის ყველა ბრენდის შესყიდვა უნდა განხორციელდეს ETP პროგრამის მეშვეობით. D.E. Master Blenders აცხადებს, რომ ის UTZ Certified სტანდარტით წარმოებული ჩაის შესყიდვის ლიდერია. მათი ჩაის 40%-ის შეძენა ხდება იმ კომპანიებისგან, რომლებიც აწარმოებენ ჩაის UTZ Certified სტანდარტით. Finlay's აცხადებს, რომ ის სამართლიანი ვაჭრობის სტანდარტით წარმოებული ჩაის უდიდესი გლობალური მოვაჭრეა.

რა შესაძლებლობები ჩნდება ევროკულ ბაზარზე სერტიფიცირებული ჩაისთვის?

მდგრადი წარმოების (სურსათის უვნებლობის, სოციალურ-ეკონომიკური და გარემოს დაცვითი სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისი) ჩაის მხარდნი შიდა ბაზარი

ადგილობრივი ინიციატივების წარმოშობა (მაგალითად, Trustea

ინდოეთში და Lestari Tea Standard ინდონეზიაში) ასახავს მზარდ ინტერესს მდგრადი წარმოების ჩაის მიმართ შიდა ბაზრებზე. ევროპული სტანდარტების დანერგვის ნაცვლად ეს ბაზრები საკუთარ ადგილობრივ სტანდარტებს ავითარებენ.

მაგალითად, ინდოეთში დაწყებული ინიციატივა Trustea, რომელიც განვითარდა მდგრადი ვაჭრობის ინიციატივასთან (IDH) კავშირში, ფოკუსირებულია მდგრადი წარმოების ჩაის კოდექსის შემუშავებაზე, რომელიც მორგებული იქნება ქვეყნის სპეციფიკაზე. პროგრამა მიზნად ისახავს, რომ 2016 წლისთვის დაახლოებით 500 ათასი ტონა შავი ჩაი შეესაბამებოდეს მდგრადი წარმოების სტანდარტებს. დადასტურებულია, რომ ამჟამად ასეთი ჩაის მოცულობა შეადგენს 171 ათას ტონას, რაც ინდურ ჩაის მთლიანი წარმოების 40 %-ია. ეს დადასტურებული მოცულობა სრულად ემატება Rainforest Alliance-ის, UTZ Certified-ის, სამართლიანი ვაჭრობის და ორგანული წარმოების სტანდარტებით სერტიფიცირებული ჩაის მოცულებებს.

რეკომენდაცია:

ნუ იქნებით ფოკუსირებული ევროპის ბაზარზე ორიენტირებულ ჩაის სახეობებზე, არამედ მოიპოვეთ მეტი ინფორმაცია ადგილობრივი სტანდარტების და ინიციატივების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ ჩაის მდგრად წარმოებას. დაამყარეთ კონტაქტი ჩაის ეროვნულ საბჭოსთან მდგრადი სტანდარტების შესახებ უახლესი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

დარწმუნდით, რომ იცით როგორ მუშაობს ფასწარმოქმნის კომპლექსური სისტემა. აუცილებელია გააცნობიეროთ, რომ მოგჯერ შიდა ფასები უფრო მაღალია ევროპულ ფასებთან შედარებით.

სერტიფიცირების მნიშვნელობის გადაჭარბებულმა შეფასებამ შესაძლოა ზრდის ტიპის შეფერხება გამოიწვიოს

მზარდი მოთხოვნა ჩაიზე, რომელიც სერტიფიცირებულია ფართოდ აღიარებული სტანდარტებით მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმ მასშტაბური ვადლებულებებით, რომლებიც ნაკისრი აქვს მხვილ შემფუთავებს და საცალო მოვაჭრებს. ხშირად ეს კომპანიები სერტიფიცირების სქემებს მარკეტინგულ საშუალებად გამოიყენებენ, რომ აჩვენონ თავიანთი ძალისხმევა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში, რადგანაც ცნობილია, რომ სერტიფიცირების სქემებით უმჯობესდება მცირე ფერმერთა საარსებო საშუალებები.

ამავე დროს დიდი ყურადღება ეთმობა სერტიფიცირების რეალურ

მეგავლენას პროდუქციის გაყიდვებზე. უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური გახდა ისეთი საკითხები, როგორცაა შემოსავლის გაუმჯობესება, განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ჯანდაცვა, კრედიტი და სოციალური სარგებელი, ქალი ფერმერებისთვის გაუმჯობესებული/დამატებითი შესაძლებლობები და სხვა. შედეგად, სერტიფიცირების მემოქმედებაზე ფოკუსირებამ, საბოლოოდ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას თვით სერტიფიცირებას. მაგალითად, 2015 წლის სკანდალი, რომელიც ეხებოდა სერტიფიცირებული ჩაის პლანტაციებს ასამში (ინდოეთი), სადაც ამავე დროს BBC-მ გამოავლინა დაბალი ხარისხის საცხოვრებელი პირობები. უახლოეს მომავალში ასეთმა გარემოებებმა შესაძლოა განაპირობონ სერტიფიცირების გაუქმება კონკრეტული პლანტაციებისთვის.

რეკომენდაცია:

რეალური სიტუაციის უკეთ გაცნობის მიზნით მოინახულეთ ჩაის პლანტაციები საიდანაც შეისყიდით ჩაის. ამასთან ერთად, გაეცანიოთ Rainforest Alliance -ის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს მათი სერტიფიცირების ქვეშ არსებულ პლანტაციებზე მომუშავე მუშახელის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას

გაეცანიოთ ასევე Living Wage პროექტის გამოცდილებას მალაიში, სადაც ჩაის სექტორში ჩართული ყველა მხარე გაერთიანდა ინდუსტრიაში დასაქმებული მუშახელის ხელფასების გაზრდის მიზნით.

სერტიფიცირება, როგორც კლიმატურ ცვლილებაებთან ადაპტაციის ფორმა

იმისთვის, რომ მოხდეს პროდუქციის გარანტირებული მიწოდება გრძელვადიან რეჟიმში, პლანტაციებზე შესაძლებელია განხორციელდეს კლიმატის ცვლილების მეგავლენის შემამსუხუქებელი და საადაპტაციო აქტივობები. მაგალითად, ნახშირის დამარაგების, ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის და ჩაის მიკროკლიმატის სტაბილიზაციის მიზნით, ფერმის სამღვრებთან შესაძლებელია დაირგოს ადგილობრივი ბუნებრივი პირობების შესაფერისი ხე-მცენარეები, რაც ასევე ზრდის მედეგობას მენყერის, ძლიერი წვიმის და ხანგრძლივი გვალვის უარყოფითი მეგავლენის მიმართ. კლიმატურმა ცვლილებამ ასევე შესაძლოა გაზარდოს ჩაის წარმოების ღირებულება.

სერტიფიცირება შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ერთ-ერთი მექანიზმი კლიმატის ცვლილების კონტროლის განსახორციელებლად. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული

პრობლემების მოგვარების ხელშეწყობის მიზნით, საერთაშორისო მყიდველები პროდუქციას იძენენ მხოლოდ იმ პლანტაციებიდან, სადაც ჩაი ინარმოება მდგრადი სტანდარტების შესაბამისად. მაგალითად, სამართლიანმა ვაჭრობამ, კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შემცირების მიზნით, ეხლახან შეიმუშავა ახალი სტანდარტი - Fairtrade Climate Standard.

რეკომენდაცია:

დაადგინეთ, თუ რა ღონისძიებების გატარება არის შესაძლებელი იმისთვის, რომ თქვენი ბიზნესი უფრო ელასტიური გახდეს კლიმატური ცვლილების მოთხოვნების მიმართ. ამ მხრივ სასარგებლო ინფორმაციის წყაროა Toyclai -ს ჩაის კვლევითი ინსტიტუტი ინდოეთში, სადაც აქტიურად იკვლევენ კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას ჩაის წარმოებაზე.

სხვა ინიციატივები, რომლებიც ამცირებენ ჩაის სექტორის გარემოზე ზემოქმედებას მოიცავს მაგალითად ბიოლოგიურად დაშლადი შესაფუთი მასალის გამოყენებას, როგორცაა მაგალითად, ქალაქი, რომლისგანაც მზადდება ჩაის ერთჯერადი პაკეტები.

მეტი ინფორმაციისთვის გთხოვთ გაეცნოთ CBI-ს კვლევას ჩაის ევროპულ ბაზარზე ახალი ტენდენციების შესახებ.

როგორია სართიფიცირებული ჩაის ბაზრის სემპონები და სავაჭრო არხები ევროკავშირში?

ჩაით ვაჭრობა ხორციელდება აუქციონის ან პირდაპირი გაყიდვების გზით. ისეთი მწარმოებლები, როგორცაა ჩინეთი, ვიეტნამი და არგენტინა ჩაის რეალიზაციას ახდენენ პირდაპირი გაყიდვის გზით. სხვა მწარმოებელი ქვეყნები როგორცაა კენია, შრი-ლანკა, ინდონეზია და ინდოეთი, იყენებენ აუქციონის სისტემას. ჩაის ღირებულების ჯაჭვის ცოდნა დაეხმარება ექსპორტიორებს უკეთ შეაფასონ რისკები და შესაძლებლობები და შესაბამისად მოახდინონ თავიანთი მარკეტინგული სტრატეგიის ადაპტირება. ზოგადად, სერტიფიცირებული და არასერტიფიცირებული ჩაის მარშრუტი ერთია. გამონაკლისია უმაღლესი ხარისხის (განსაკუთრებული) ორგანული სერტიფიცირების მქონე ჩაი. ზოგადად, ეს უკანასკნელი იყიდება პირდაპირი ვაჭრობის გზით. ასეთ შემთხვევაში ხარისხის კონკრეტულ მოთხოვნებთან და ფასთან დაკავშირებით კომუნიკაცია პირდაპირ მომწოდებელთან უნდა ანარმოეთ. ამ სემპონებში გაყიდული ჩაის რაოდენობა ბევრად მცირეა, ჩაის სხვა ძირითად სახეობებთან შედარებით, რომელთა რეალიზება ძირითადად საბითუმო არხებით ხდება.

რეკომენდაცია:

მეტი ინფორმაციისთვის მოიძიეთ ჩვენი კვლევა ჩაის ევროპული ბაზრის არხების და სემპონების შესახებ

ვერტიკალური ინტეგრაციის მაღალი დონე

ჩაის ღირებულების ჯაჭვი ხასიათდება ვერტიკალური ინტეგრაციის მაღალი დონით, რაც იმას ნიშნავს, რომ სათათ კომპანიები აკონტროლებენ პროდუქციის წარმოების ციკლის სხვადასხვა რგოლს, ქვევიდან ზევით და პირიქით, მათ შორის პლანტაციებზე მესაკუთრეობასა და მათ მართვას, და წარმოების პროცესებს. ღირებულების ჯაჭვის დიდი სემპონი კონტროლდება საერთაშორისო კორპორაციების მიერ როგორცაა: Unilever, van Rees, Finlays და Tata Tea. ზოგადად ხდება მინიმალურად დამუშავებული ჩაის ექსპორტი, ხოლო მომხმარებელ ქვეყნებში, იმპორტიორი ან შემფუთველი ახდენს ბითუმად მიღებული პროდუქციის შერევას და დაფასობას.

აუქციონი, როგორც ვაჭრობის საკვანძო ელემენტი

გლობალურად წარმოებული ჩაის დაახლოებით 70 %-ის ვაჭრობა აუქციონების მეშვეობით ხორციელდება (წყარო: ჩაის სექტორის მიმოხილვა, IDH 2011). მცირე ზომის კომპანიები, რომლებიც საკუთარი ბრენდით აწარმოებენ ჩაის, ძირითადად პირდაპირი ვაჭრობის მეთოდს იყენებენ და მათი პროდუქცია ამ გზით ხვდება საცალო ქსელში.

რეკომენდაცია:

მაშინაც კი, როდესაც არ იყენებთ ელექტრონულ აუქციონებს, ეს უკანასკნელი შესაძლოა სასარგებლო წყარო იყოს ფასებზე ინფორმაციის მიხაღებად. გამოიყენეთ ეს წყარო თქვენი ინტერესების შესაბამისად.

სპეციალური სახეობის (სერტიფიცირებული) წინასწარ დაფასოებული ჩაი, რომელიც მზადაა საცალო ქსელში მოსახვედრად, როგორც წესი, აუქციონის გარეშე იყიდება. კომპანიები, რომლებიც ძალიან მაღალი ხარისხის ჩაის აწარმოებენ, სწორედ პირდაპირი ვაჭრობით, ანუ აუქციონების გვერდის ავლით ახდენენ პროდუქციის რეალიზაციას.

გთხოვთ გაეცნოთ ჩვენს 9 რჩევას, თუ როგორ მოიძიოთ მყიდველები ევროპის ჩაის ბაზარზე

ჩაის დამუშავების მალალ- კონსენტირებასა და სავაჭრო

სამი ყველაზე მსხვილი ჩაის შემფუთავი (დამფასოებელი) კომპანია აკონტროლებს დიდი ბრიტანეთის ჩაის ბაზრის 70 %-ს, გერმანიასა და იტალიაში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 67 და 66 პროცენტია.

რეკომენდაცია:

ჩაის ევროპული ბაზარი ძალზე კონცენტრირებულია. თქვენი საბაზრო სტრატეგიის შემუშავებისასთვის გაითვალისწინეთ, რომ საცალო ვაჭრობის სეგმენტში ვაჭრების უდიდესი ნილი ჩაის შემფუთავ/დამფასოებელ კომპანიებზე მოდის.

საცალო ვაჭრობის არხი - სართიფიცირებული პროდუქტის ძირითადი სავაჭრო

ევროპული საცალო ვაჭრობის არხი მოიცავს ჰიპერ და სუპერ მარკეტების ქსელს, შედარებით მცირე ზომის მარკეტების ქსელს, დამოუკიდებელ გასტრონომებს და სპეციალური სახეობის ჩაის(ყავის) გამყიდველებს, რომლებიც სავაჭრო ოპერაციებს ონლაინ რეჟიმშიც ახორციელებენ. ჩაის მთლიან მოხმარებაში საცალო ვაჭრობის ქსელით მოხმარებას უკავია 91%, მაშინ როდესაც სახლს გარეთ მოხმარებას (ბარები, რესტორნები, დაწესებულებები) - დაახლოებით 9 % (Tetley UK, 2014).

რეკომენდაცია:

მოიძიეთ უფრო პატარა, მდგრადი სტანდარტების შესაბამისი ისეთი ბრენდები, რომლებიც ცდილობენ აუქციონების გარეშე დაამყარონ გრძელვადიანი ურთიერთობები თავიანთ მომწოდებლებთან.

გამჭვირვალობის ზრდა მისოდების წაჭრა

გამჭვირვალობაზე მოთხოვნა იზრდება როგორც მომხმარებლის, ასევე ჩაის ინდუსტრიის მხრიდან. ამ კუთხით, ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი მომხმარებლის ჯანმრთელობა და უსაფრთხოებაა, ასევე ფასებზე გემოქმედების ფაქტორი. ჩაის სექტორში გამჭვირვალობის მართვა არ არის რთული,

გამომდინარე იქიდან რომ დარგი მეტნაკლებად კარგად ორგანიზებულია და მასში არც თუ ბევრი მოთამაშე მონაწილეობს. გარდა ამისა, მინოდების ჯაჭვი შედარებით მოკლეა: შემფუთავი/დამფასოებელი კომპანიები აუქციონების გვერდის ავლით პირდაპირ პლანტაციებიდან ყიდულობენ ჩაის.

რეკომენდაცია:

პირდაპირი ვაჭრობა ხელს უწყობს მინოდების ჯაჭვის შემოკლებას. თუკი პირდაპირი ვაჭრობის მეთოდს მიმართავთ, დარწმუნდით რომ ფასის მატება ხდება თქვენი და ფერმერების და არა მყიდველის სასარგებლოდ, რომელმაც შესაძლებელია კვლავ იგივე, დაბალი ფასი გადაიხადოს. სავარაუდოდ, ფერმერები და უქსპორტიორები შეძლებენ მათთვის უფრო მისაღებ ფასზე შეთანხმებას, რამდენადაც მათ მეტი შესაძლებლობა აქვთ გაამყარონ თავიანთი პოზიციები

